

ძალაშია 2000 წლის 13 აპრილიდან

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ

საქართველოს მთავრობა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა შემდგომში წოდებულნი „მონაწილე მხარეებად“,

სურთ რა, გააძლიერონ ეკონომიკური თანამშრომლობა ორ სახელმწიფოს შორის და შექმნან ხელსაყრელი პირობები ქართული ინვესტიციებისათვის საფრანგეთში და ფრანგული ინვესტიციებისათვის საქართველოში.

სწამთ რა, რომ ამ ინვესტიციების წახალისება და დაცვა ხელს შეუწყობს კაპიტალისა და ტექნოლოგიის გრანსფერს ორ სახელმწიფოს შორის, მათი ეკონომიკური განვითარების ინტერესებს,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 განმარტებანი

წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის:

ტერმინი „ინვესტიცია“ გამოიყენება ყველა სახის ფასეულობის აღსანიშნავად, როგორცაა: ნებისმიერი სახის ქონება, უფლებები თუ სარგებელი; ამასთან კერძოდ, თუმცა არა ამომწურავად, მოიცავს:

ა) მოძრავ და უძრავ ქონებას, ისევე როგორც სხვა სახის ქონებრივ უფლებებს, როგორცაა: თამასუქი, იპოთეკა, უზუფრუქტი, თავდებობა და ყველა ანალოგიური უფლებები.

ბ) ემისიის შედეგად მიღებულ აქციებს და მონაწილეობის სხვა ფორმებს, მათ შორის მცირე წილით ან არაპირდაპირი მონაწილეობის ფორმებს რომელიმე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე.

გ) ობლიგაციებს, სავალო ვალდებულებებს და ეკონომიკური ღირებულებების მქონე ყველა მოქმედებებს.

დ) ინტელექტუალურ, კომერციულ და სამრეწველო საკუთრების უფლებებს, ისეთს როგორცაა: საავტორო უფლება, პატენტები, გექნიკური პროცესები, ლიცენზიები, სავაჭრო ნიშნები, სამრეწველო დიზაინები, მაკეტები, სავაჭრო სახელები,

გულვილი.

ე) კანონით ან კონტრაქტით მინიჭებულ კონცესიებს, მათ შორის ბუნებრივი რესურსების ძიების, დამუშავების, მოპოვების ან ექსპლუატაციის კონცესიებს, იმ ბუნებრივი რესურსების ჩათვლით, რომლებიც განლაგებულია მონაწილე მხარეების საზღვაო ზონაში.

მიჩნეულია, რომ ეს არის ფასეულობები, რომლებიც ინვესტირებულია ან უნდა იყოს ინვესტირებული ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე ან ძალაში შესვლის შემდეგ იმ მონაწილე მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზე ან საზღვაო ზონაშიც არის ინვესტიციები განხორციელებული.

ფასეულობათა დაბანდების ფორმის ნებისმიერი ცვლილება გავლენას არ ახდენს იმაზე, რომ მათ მაინც კაპიტალდაბანდების კვალიფიკაცია მიეცეს, თუკი ასეთი ცვლილება არ ეწინააღმდეგება იმ მონაწილე მხარის კანონმდებლობას, რომლის ტერიტორიაზე ან საზღვაო ზონაში განხორციელდა კაპიტალდაბანდება.

2. ტერმინი „მოქალაქეები“ გულისხმობს რომელიმე მონაწილე მხარის მოქალაქეობის მქონე ფიზიკურ პირებს.

3. ტერმინი „საზოგადოება“ გულისხმობს ნებისმიერ იურიდიულ პირს, რომელიც დაფუძნებულია რომელიმე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე ამ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად და ამ მხარის ტერიტორიაზე აქვს მთავარი ოფისი, პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლდება რომელიმე მონაწილე მხარის მოქალაქეების ან იურიდიული პირების მიერ, რომელთაც აქვთ თავიანთი მთავარი ოფისი რომელიმე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე და დაფუძნებულია იმ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ტერმინი „შემოსავლები“ გულისხმობს მოცემულ პირობებში ინვესტიციებიდან მიღებულ ისეთ ყველა თანხას, როგორცაა: მოგება, როიალტი, პროცენტები.

ინვესტიციის შემოსავლები და რეინვესტიციის შემოსავლები რეინვესტიციის შემთხვევაში სარგებლობენ ისეთივე დაცვით, როგორც ინვესტიცია.

5. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს თითოეული მონაწილე მხარის ტერიტორიაზე და ასევე საზღვაო ზონაში, რაც შემდგომ განისაზღვრება, როგორც ეკონომიკური ზონა და კონტინენტალური შელფი. ის მდებარეობს თითოეული მონაწილე მხარის ტერიტორიულ წყლებს გარეთ, რომლებზეც მონაწილე მხარეებს საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანახმად აქვთ სუვერენული უფლებები და იურისდიქცია ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე, ექსპლუატაციასა და დაცვაზე.

მუხლი 2

ინვესტიციების დამცემა და წახალისება

თითოეული მონაწილე მხარე თავისი კანონმდებლობისა და წინამდებარე

შეთანხმების ფარგლებში დაუშვებს და წაახალისებს მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეებისა ან საზოგადოებების მიერ თავის გერიგორიაზე და საზღვაო ზონაში განხორციელებულ ინვესტიციებს.

მუხლი 3

სამართლიანი და თანასწორუფლებიანი რეჟიმი

თითოეული მონაწილე მხარე თავის გერიგორიასა და საზღვაო ზონაში საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად დაიცავს სამართლიან და თანასწორუფლებიან რეჟიმს – მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეების ან საზოგადოებების მიერ განხორციელებულ კაპიტალდაბანდებების მიმართ და უზრუნველყოფს, რომ ამგვარად აღიარებული უფლების გამოყენებას არ შეექმნება კანონიერი თუ ფაქტიური წინააღმდეგობა. კერძოდ, თუმცა არა ამომწურავად, დაბრკოლებად ჩაითვლება სამართლიანი და თანასწორუფლებიანი რეჟიმის *de jure* ან *de facto* ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც დაკავშირებული იქნება ნედლეულისა და დამხმარე მასალების, ენერჯისა და საწვავის, წარმოების ექსპლუატაციის საშუალებების შესყიდვასა და გრანსპორტირებასთან, ასევე ქვეყნის შიგნით ან საზღვარგარეთ ნაწარმის გაყიდვასა და გრანსპორტირებასთან. დაბრკოლებად მიიჩნევა ნებისმიერი სხვა ქმედებანი, რომელთაც მსგავსი შედეგი მოჰყვება.

მონაწილე მხარეთაგან ერთ-ერთი თავისი შიდა კანონმდებლობის ფარგლებში კეთილგანწყობით განიხილავს მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეთა ქვეყანაში შესვლის, ცხოვრების, მუშაობისა და გადაადგილების ნებართვის თხოვნებს, რომლებიც დაკავშირებულია პირველი მონაწილე მხარის გერიგორიაზე ან საზღვაო ზონაში განხორციელებულ ინვესტიციებთან.

მუხლი 4

მოქალაქეთა რეჟიმი და უპირატესობის მქონე ქვეყნის რეჟიმი

თითოეული მონაწილე მხარე თავის გერიგორიასა და საზღვაო ზონაში მეორე მხარის მოქალაქეებსა და საზოგადოებებს, მათ ინვესტიციებსა და ინვესტიციებთან დაკავშირებულ საქმიანობას შეუფარდეს იმაზე არანაკლებ ხელშემწყობ რეჟიმს, ვიდრე თავისი მოქალაქეების ან საზოგადოებებისათვის და უფრო უპირატესი რეჟიმის მქონე სახელმწიფოს მოქალაქეებისათვისაა მინიჭებული, თუკი იგი უფრო ხელსაყრელია. ამის საფუძველზე მოქალაქეებს, რომელთაც მიეცათ რომელიმე მონაწილე მხარის გერიგორიაზე ან საზღვაო ზონაში მუშაობის უფლება, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რათა გამოიყენონ მათთვის მინიჭებული მაგერიალური საშუალებანი, რაც საჭიროა მათი პროფესიული საქმიანობისათვის.

ამასთან, ეს რეჟიმი არ მოიცავს იმ პრივილეგიებს, რომლებსაც ერთ-ერთი მონაწილე მხარე მესამე სახელმწიფოს მოქალაქეებს ან საზოგადოებებს მიანიჭებს მათი თავისუფალ სავაჭრო ზონაში, საბაჟო კავშირში, ერთობლივ ბაზარში ან სხვა სახის რეგიონალურ ეკონომიკურ ორგანიზაციაში მონაწილეობის ან გაერთიანების გამო.

ამ მუხლის დებულებები არ შეეხება საგადასახადო საკითხებს.

მუხლი 5

ქონების ჩამორთმევა და მიყენებული ზარალის კომპენსაცია

1. ერთ-ერთი მონაწილე მხარის მოქალაქეებისა ან საზოგადოებების მიერ განხორციელებული კაპიტალდაბანდებანი სარგებლობენ მეორე მონაწილე მხარის გერიგორიაზე ან საზღვაო ზონაში უსაფრთხოების სრული და მთლიანი დაცვით.

2. მონაწილე მხარეთაგან ერთი მხარე მეორე მხარის მოქალაქეებისა და საზოგადოებების, ასევე მათი კუთვნილი ინვესტიციების მიმართ თავიანთ გერიგორიასა და საზღვაო ზონაში არ მიმართავენ ექსპროპრიაციისა თუ ნაციონალიზაციის ზომებს, ან ყოველ იმ ზომას, რომელსაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ქონების ჩამორთმევის გოლფასი შედეგი ექნება, თუკი ეს ზომები საჭირო არ იქნება საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად. ამასთან იმ პირობით, რომ ისინი არც დისკრიმინაციული იქნება და არც ცალკეული ვალდებულებების საწინააღმდეგო.

მოსალოდნელ ქონების ჩამორთმევის ყველა ზომებს თან უნდა დაერთოს სწრაფი და აღექვატური კომპენსაცია, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ინვესტიციის რეალური ღირებულების შესაბამისად. ინვესტიციის შეფასება უნდა მოხდეს ნორმალური ეკონომიკური მდგომარეობის დროს, ქონების ჩამორთმევის საშიშროების წამოჭრამდე.

ეს ანაზღაურება, გადასახადის ოდენობა და გადახდის პირობები უნდა დადგინდეს არა უგვიანეს ქონების ჩამორთმევის თარიღისა. უნდა არსებობდეს კომპენსაციის დაუბრკოლებლად განხორციელების საშუალება, შეფერხების გარეშე მოხდეს მისი გადახდა და იყოს თავისუფლად გრანსფერებადი, შესაბამისი საბაზრო კურსის მიხედვით მას გადახდის თარიღამდე ერიცხება პროცენტი.

3. მონაწილე მხარის მოქალაქეების ან საზოგადოებები, რომელთა ინვესტიციებმა განიცადეს ზარალი ომის ან სხვა შეიარაღებული კონფლიქტის, რევოლუციის, საგანგებო მდგომარეობის ან აჯანყების გამო, რომელიც მოხდა მეორე მონაწილე მხარის გერიგორიაზე ან საზღვაო ზონაში, ისარგებლებენ ამ უკანასკნელი მონაწილე მხარის მხრიდან რეკომით, რომელიც იმაზე არანაკლებ ხელშემწყობია, ვიდრე მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეების ან საზოგადოებების და ყველაზე უპირატესი ხელშემწყობის რეკომის მქონე ქვეყნების მოქალაქეების ან საზოგადოებებისათვის.

მუხლი 6

თავისუფალი გრანსფერი

თითოეული მონაწილე მხარე, რომლის გერიგორიაზე ან საზღვაო ზონაშიც მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეებმა ან საზოგადოებებმა განახორციელეს ინვესტიციები, ანიჭებს მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეებსა და საზოგადოებებს თავისუფალ გრანსფერს:

ა) პროცენტების, დივიდენდების, მოგებების და სხვა მიმდინარე შემოსავლების მიმართ;

ბ) როიალთების მიმართ, რომლებიც მიღებულია არასანივთო უფლებებით, როგორც განსაზღვრული 1 მუხლის, 1 პარაგრაფის (დ) და (ე) პუნქტებში,

გ) კანონიერად აღებული სესხების დასაფარი გადასახადების მიმართ.

დ) კაპიტალდაბანდების მთლიანი ან ნაწილობრივი ლიკვიდაცია ან გასხვისების პროდუქტის ღირებულების მიმართ, ინვესტირებული კაპიტალისაგან მიღებული ფულადი მოგებების ჩათვლით.

ე) მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პარაგრაფებში მოხსენიებული ქონების ჩამორთმევის ან ბარალის კომპენსაციის მიმართ.

თითოეული მონაწილე მხარის მოქალაქეებს, რომლებსაც მიეცათ ნებადართული ინვესტიციების შედეგად მუშაობის უფლება მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე ან საზღვაო ზონაში, ასევე ექნებათ თავის ქვეყანაში საკუთარი შემოსავლების შესაბამისი განსაზღვრული ოდენობის გადაგზავნის უფლება.

წინამდებარე პარაგრაფებში აღნიშნული გრანსფერები სწრაფად უნდა იქნას შესრულებული გრანსფერის თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

მუხლი 7

ინვესტორსა და ერთ-ერთ მონაწილე მხარეს შორის არსებული სადაო საკითხთა გადაწყვეტა

ინვესტიციასთან დაკავშირებული ყველა დავა რომელიმე მონაწილე მხარესა და მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეს ან საზოგადოებას შორის უნდა გადაწყდეს მეგობრულად, დაინტერესებულ მხარეებს შორის.

თუ ასეთი დავა ვერ გადაწყდა დავის დაწყების თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში, მაშინ ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის თანახმად იგი საინვესტიციო დავების ცენტრის (C. I. R. D. I.) მიერ გადაჭრას უნდა დაექვემდებაროს. ეს ცენტრი სახელმწიფოთა და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს შორის დავათა გადაწყვეტის მიზნით შეიქმნა ვაშინგტონში 1965 წლის 18 მარტს ხელმოწერილი კონვენციის საფუძველზე.

მუხლი 8

გარანტია და სუბროგაცია

1. იმ შემთხვევაში, თუკი ერთ-ერთი მონაწილე მხარის წესები ითვალისწინებენ საზღვარგარეთ განხორციელებულ ინვესტიციათა გარანტიას, მაშინ ის შეიძლება თითოეული შემთხვევის გაანალიზებით იყოს შეთანხმებული ამ მხარის მოქალაქეთა ან საზოგადოებების მიერ მეორე მხარის ტერიტორიასა და საზღვაო ზონაში.

2. რომელიმე მონაწილე მხარის მოქალაქეების ან საზოგადოებების მიერ მეორე

მონაწილე მხარის ტერიტორიაზე ან საზღვაო ზონაში განხორციელებულ ინვესტიციებს არ შეუძლიათ მიიღონ წინა პუნქტში მითითებული გარანგია, თუ წინასწარ არ არის მიღებული თანხმობა მეორე მხარისგან.

3. თუ ერთ-ერთი მონაწილე მხარე მეორე მხარის ტერიტორიაზე ან საზღვაო ზონაში განხორციელებული კაპიტალდაბანდებისათვის გაცემული გარანგიის საფუძველზე უნაზღაურებს მოქალაქეს ან საზოგადოებას, ამ შემთხვევაში ეს მხარე ღებულობს ამ მოქალაქის ან საზოგადოების უფლებებისა და ქმედებების სუბროგაციის სრულ უფლებას.

4. ხსენებული გადასახადები არ მოქმედებენ მოსარგებლის უფლებაზე, მიმართოს C. I. R. D. I.-ს, ან მიმართოს მოქმედებებს მის წინაშე, პროცესის დამთავრებამდე.

მუხლი 9 **სპეციფიური ვალდებულება**

ის კაპიტალდაბანდებანი, რომლებიც წარმოადგენენ ერთ-ერთი მონაწილე მხარის განსაკუთრებული ვალდებულებების საგანს მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეთა და საზოგადოებათა მიმართ, წარიმართებიან არსებული ხელშეკრულების პირობების დარღვევის გარეშე, იმ ვალდებულების პირობებით, თუკი ეს უკანასკნელი შეიცავს უფრო ხელსაყრელ პირობებს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია არსებული ხელშეკრულებით.

მუხლი 10 **მონაწილე მხარეთა შორის წამოჭრილ სადაო საკითხთა გადაწყვეტა**

1. ამ შეთანხმების განმარტებასა თუ გამოყენებასთან დაკავშირებით წამოჭრილ სადაო საკითხთა მოგვარება უნდა განხორციელდეს შეძლებისდაგვარად დიპლომატიური გზით.

2. თუ დავის შესახებ შეგყობინების მიღებიდან 6 თვის ვადაში იგი არ გადაწყდება მემოაღნიშნული გზით, მაშინ მონაწილე მხარეთაგან ერთ-ერთის მოთხოვნის საფუძველზე დავა განსახილველად გადაეცემა საარბიტრაჟო სასამართლოს.

3. საარბიტრაჟო სასამართლო თითოეული შემთხვევისათვის შეიქმნება შემდეგი წესით: თითოეული მონაწილე მხარე ნიშნავს ერთ არბიტრს და ამგვარად დანიშნული ორი არბიტრი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც ორი მონაწილე მხარის მიერ დანიშნული იქნება არბიტრაჟის თავმჯდომარედ. ყველა არბიტრი უნდა იყოს დანიშნული ორი თვის განმავლობაში რომელიმე მონაწილე მხარის მიერ მეორე მხარესთან წარმოქმნილი დავის საარბიტრაჟო ორგანოსათვის განსახილველად გადაცემის მომენტიდან.

4. თუ გემთაღნიშნულ მე-3 პარაგრაფში დადგენილი ვადები დაცული არ იქნა, რომელიმე მონაწილე მხარე სხვა რომელიმე შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში თხოვნით მიმართავს გაეროს გენერალურ მდივანს, რათა მან განხორციელოს ყველა აუცილებელი ღონისძიება. თუ გენერალური მდივანი არის რომელიმე მონაწილე მხარის მოქალაქე, ან თუ რაიმე მიზეზით მას ხელი ეშლება აღნიშნული ფუნქციის შესრულებაში, გენერალური მდივანის მოადგილე, რომელიც არ არის რომელიმე მონაწილე მხარის მოქალაქე, შეასრულებს ზემოხსენებულ ფუნქციას.

5. საარბიტრაჟო სასამართლო თავის გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით; ეს გადაწყვეტილებები არის საბოლოო და სავალდებულო მონაწილე მხარეთათვის.

საარბიტრაჟო სასამართლო აწესებს საკუთარ წესებს. ის თითოეული მონაწილე მხარის მოთხოვნით განმარტავს თავის გადაწყვეტილებას. თუ არბიტრაჟი განსაკუთრებული გარემოებების შესაბამისად არ გადაწყვეტს სხვაგვარად, საარბიტრაჟო პროცესის ხარჯები, არბიტრების გასამრჯელოს ჩათვლით ორ მონაწილე მხარეს შორის თანაბრად იქნება განაწილებული.

მუხლი 11

შეთანხმების ძალაში შესვლა და ხანგრძლივობა

თითოეული მონაწილე მხარე აცნობებს მეორეს, შეთანხმების ძალაში შესვლისათვის საჭირო შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ, რომელიც ძალაში შევა უკანასკნელი შეცვობინების მიღების თარიღიდან ერთი თვის შემდეგ.

შეთანხმება დადებულია საწყისი ათი წლის ვადით. ის ძალაში დარჩება შემდგომშიც. სანამ ერთ-ერთი მონაწილე მხარე დიპლომატიური გზების მეშვეობით ერთი წლით ადრე არ მოახდენს მის დენონსაციას.

იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება ვადაზე ადრე, მისი მოქმედების დროს განხორციელებული ინვესტიციები დაცულ იქნება შემდგომი ოცი წლის განმავლობაში.

ხელმოწერილია ქ. პარიზში 1997 წლის 3 თებერვალს ქართულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან სამივე ტექსტი აუთენტიკურია.

საქართველოს მთავრობის
სახელით

საფრანგეთის რესპუბლიკის
მთავრობის სახელით